

შპს „ინტერტექნიკსი“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ინტერტექნიკსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 12.11. რეგ. ნომერი 1466/007 თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია – 206211348, იურიდიული მისამართი – თბილისი პეკინის მე-2 კვ, კორპ.6, ბინა 13.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის პარტნიორია (დამფუძნებელი):

ფ/პ პაატა მოსეშვილი პ/ნ 01024002674

1.3. კომპანიის დირექტორია: პაატა მოსეშვილი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ავტომობილებით, კერძოდ მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში გამოყენებადი სპეცტექნიკით და მათი სათადარიგო აქსესუარებით.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფორმალურად ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „ინტერტექს ვესტ“ (ს/ნ 415096238), რომელსაც მისი დაარსების დღიდან დღემდე არ უმუშავია, არც ერთი ოპერაცია არ გატარებულა და არც ერთ საბალანსო ანგარიშზე ნაშთი არ უფიქსირდება, შესაბამისად კონსოლიდირებულ ანგარიშს ვერ წარმოვადგენთ.

1.6. კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა 2022 წელს იყო 19 კაცი.

1.7. საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2020 წ., თუმცა 2020 წლის გადაანგარიშება მოხდა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებით. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე და სალაროში, სადაც ამონაგები აღირიცხება საკასო სალარო აპარატის მეშვეობით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 5 წელი;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები – 1 წელი.

2.7. გადასახადები

2017 წლიდან დღემდე კომპანია იყენებს მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონურ მოდელს“.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი; 1 EUR=2.8844ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2022	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2021
ნაღდი ფული საღაროში	6500	1500
ლარი საბანკო ანგარიშზე	50520	23450
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშზე	32500	9830
ევრო საბანკო ანგარიშზე	36430	10250
სულ	125950	45030

3.2. მარაგები:

	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2022	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2021
მზ. პროდუქცია დ. გასაყიდ. საქონელი	998950	820502
სულ	998950	820502

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2022	ნაშთი მდგომარეობით 31.12.2021
სავაჭროდ სხვა მოთხოვნები		
მოთხოვნები გაყიდვებიდან	164556	100850
სულ	164556	100850

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12. 2022 წ. მდგომარეობით	2022 წ. წინასწარი შემცირება	2022 წ. დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12. 2021 მდგომარეობით	2021 წელს წინასწარი შემცირება	2021 წელს დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12. 2020 მდგომარეობით
ოფისის აღჭურვილობა	6343	0	518	6861	6350	1377	1538
კომპიუტერული ტექნიკა	10350	0	950	11300	8500	350	3150
ავტოტრანსპორტი	14807	0	450	15257	5357	1250	11150
სულ	31500		1918	33418	20207	2977	15838

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2022 წელს ძირითადი საშუალებები არ გაყიდულა.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს – 1918 ლარს;

3.5. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრები სრულად შეადგენდა 30500 ლარს, რომელიც აღებული იყო ბაზისბანკში.

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სესხი „ბაზისბანკიდან“	60200	40280
სულ	60200	40280

3.6. ნეტო ამონაგები:

	2021 წელს	2021 წელს
საქონლის და აქსესუარების გაყიდვით მიღებული შემოსავლები	4899555	3042693
გაყიდვებზე და მომსახურების გაწევაზე გახარჯული აქსესუარების თვითღირებულება	-3655570	-2350593
სულ	1243985	692100

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა იჯარისა, შრომის ანაზღაურებისა, ცვეთისა და ამორტიზაციისა):

	2022 წელს
რეკლამის ხარჯი	560
ტრანსპორტურებისა და შენახვის ხარჯი	4221
კომპიუტერისა და საკანცელრო ხარჯი	750
საოფისე ინვენტარის ხარჯი	724
კომუნიკაციების ხარჯი	4293
საწვავის ხარჯი	24102
საბანკო ხარჯი	7314
წარმოადგენლობით ხარჯი	3329
სხვა საეროდ ადმინისტრაციული ხარჯი	45215
სულ	90508

3.8. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი

2022 წელს კომპანიის მოგებამ შეადგინა 502738 ლარი, რაც დაემატა წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 964156 ლარს. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2022 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები.

3.9. სასამართლო დავები

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთი საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	125950	45030	57910
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	164556	100850	160900
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	998950	820502	589500
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	998950	820502	589500
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	31500	33418	17580
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებზე	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1320956	999800	825890
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	150500	400500	350890
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	95600	70600	40790
საგადასახადო ვალდებულებები	48500	25002	15910
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	60200	40280	25500
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	354800	536382	433090
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერ	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	964156	461418	390800
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	966156	463418	392800
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1320956	999800	825890
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0



Handwritten signature in blue ink.



for signature

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4899555	3042693
საქონლის გაყიდვიდან	4899555	3042693
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3655570	-2350593
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1243985	692100
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-650739	-538982
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-90508	-82500
სულ საოპერაციო ხარჯები	-741247	-621482
საოპერაციო მოგება	502738	70618
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპ	502738	70618
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	502738	70618
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გად	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	502738	70618
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	463418	392800
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	966156	463418



for [signature]

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამო	181420	45000
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში	-100500	-57880
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენ	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	80920	-12880
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დას	45030	57910
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბო	125950	45030

